



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეჭილაძე

„—19—“—12—“ 2016 წელი

ეგზ. N2

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა

2012 წლის 1 იანვრიდან - 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში N80/36 19.12.2016წ.

სარჩევი

ანგარიში გამოყენებული შემოკლებანი	3
განმარტებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	9
აუდიტის საგანი	9
კრიტერიუმები.....	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	11
აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა	11
პროგრამის მოკლე მიმოხილვა	12
1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“	15
2. „მინდობით აღზრდა“	26
3. „მცირე საოჯახო ტიპის სახლები“	30
4. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“	34
5. „დღის ცენტრები“	41
6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“	46

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებანი

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სამინისტრო;
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - მინისტრი;
3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო - სააგენტო;
4. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო - ადგილობრივი ორგანო;
5. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისია - კომისია;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/ბავშვი - შშმ პირი/ბავშვი;
7. არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირი - ა(ა)იპ;
8. UNICEF - გაეროს ბავშვთა ფონდი;
9. USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო;
10. CHF ინტერნეშენალი - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირი „ქოოფერატივ ჰაუზინგ ფაუნდეშენის“ ფილიალი.

განმარტებები

1. რეგიონული საბჭო - სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. სპეციალიზებული დაწესებულება - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების სოციალურ მომსახურებას მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში, გარდა პანსიონური მომსახურების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა;
3. ბენეფიციარი – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების მიმღები პირი;
4. მატერიალიზებული ვაუჩერი - სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყენებული მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს. ის განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისთვის 1 წლის განმავლობაში და შედგება ცალკეული თვისათვის განკუთვნილი 12 ტალონისგან;
5. არამატერიალიზებული ვაუჩერი – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც

განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისათვის არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

6. რეინტეგრაცია – სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული პირის ბიოლოგიურ ოჯახში ან მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნება;
7. მინდობით აღზრდა – სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის მოვლა და აღზრდა;
8. გადაუდებელი მინდობით აღზრდა – მინდობით აღზრდა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რა დროსაც არ ხდება მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის შეფასება;
9. მიმღები ოჯახი – დედობილის/მამობილის ოჯახი, რომელსაც მინდობით აღსაზრდელად გადაეცა ბავშვი;
10. დედობილი/მამობილი – მიმღები ოჯახის წევრი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოვლისა და აღზრდისათვის გადაეცა ბავშვი;
11. მინდობით აღსაზრდელი – სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახისათვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ბავშვი;
12. ნაპოვნი ბავშვი – 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე;
13. ობოლი – ბავშვი, რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მშობელი;
14. მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკის მიერ, მაძიებლის ანკეტის საფუძველზე;
15. მარჩენალდაკარგული - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე;
16. სოციალური პაკეტი - პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის - მათ შორის მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა - ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა და მათთვის საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შეთავაზება, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; რომლის უზრუნველსაყოფად ახორციელებს „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“

სახელმწიფო პროგრამას.

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციური პატრონაჟის მნიშვნელობიდან, ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ნორმატიული ბაზის სირთულიდან გამომდინარე, ასევე წინანსწარი შესწავლის ეტაპზე პროგრამის დიზაინთან, დაფინანსების მექანიზმებთან და საშემსყიდველო საქმიანობასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული რისკების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ძირითადი შედეგები

სახელმწიფო შესყიდვები

„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ განხორციელებული საშემსყიდველო საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამობაშია კრიტერიუმების მოთხოვნებთან, კერძოდ:

- შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად შესყიდვის განხორციელება წარმოიშვა არა გარემოებათა ობიექტური განვითარებით, არამედ შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის მართვის ხარვეზებით და სუსტი კონტროლის მექანიზმების არსებობით, რომლებმაც თავის მხრივ განაპირობა შესყიდვის გაჭიანურება და ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- ბაზრის არასრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე კონტრაქტი გაფორმდა ისეთ მიმწოდებელთან, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ბიზნესის მოცემულ სფეროში, უფრო მეტიც, ეკონომიკური საქმიანობა საერთოდ არ ჰქონდა განხორციელებული; აღნიშნულმა და ასევე იმ გარემოებამ, რომ შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა, განაპირობა მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით წარმოდგენილი ზოგიერთი საქონლის მიხედვით საბაზრო პირობებისადმი შეუსაბამო მაღალი „ფასნამატის“ მაჩვენებლი;
- შეყიდული იქნა ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლებისაგან (პარამეტრებისგან) განსხვავებული, დაბალი პარამეტრების მქონე საქონელი.

ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის მიხედვით პროდუქციის ბენეფიციარებზე გადაცემის ნაკლოვანებები:

- 1) აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 269,900 ლარის ოდენობის ხელმოწერელი მიღება-ჩაბარების დანართების მიხედვით ბენეფიციარ ოჯახებზე გაცემული/მიღებული პროდუქციის სახეობების და რაოდენობის შესახებ;
- 2) კრიტერიუმის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ 3,483 ლარის საქონელი გაცემულია კომისიის ოქმებით გაუთვალისწინებელ პირებზე.

ზედმეტად გადახდილი თანხები

ზედმეტად გადახდილმა საბიუჯეტო სახსრებმა შეადგინა სულ **25,887 ლარი** მათ შორის:

- „მინდობით აღზრდის“ ქვეპროგრამის მიხედვით - 16,105 ლარი;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის მიხედვით - 1,905 ლარი;
- „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამის მიხედვით - 7,877 ლარი *(მხოლოდ შერჩეული ორგანიზაციების მიხედვით)*.

პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

1. შესამოწმებელ პერიოდში, ბენეფიციარების ოპტიმალურად განაწილების პირობებში, შესაძლებელი იყო სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის შეუვსებელი ლიმიტის ფარგლებში გადარიცხული საბიუჯეტო თანხების დაზოგვა:

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების“ ქვეპროგრამის მიხედვით - **54,920 ლარის** ოდენობით;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის მიხედვით - **82,260 ლარი**.

ასევე, მომსახურების ანაზღაურების ახალმა წესმა *(2015 წლის 1 ივლისამდე-3თვე)* „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის მიხედვით ხარჯები გაზარდა **6,440 ლარით**.

2. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის მიხედვით:

- კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირების მომსახურების არსებული დაფინანსების მოდელი ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას;
- მარაგების მართვის არსებული პოლიტიკა, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით არაეფექტურია და არ იძლევა ოპტიმალური მარაგის ფორმირების შესაძლებლობას.

რეკომენდაციები

1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“:

კომისიას

- ✓ პროგრამის ბენეფიციართა საჭიროების რაციონალურად დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური მუშაკის დასკვნისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, სამიზნე ჯგუფების მიხედვით შეიმუშაოს გადაუდებელი პირველადი საჭიროების შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების სისტემა და შესასყიდი საქონლის მახასიათებლების დიაპაზონი განისაზღვროს აქტიურ ბაზარზე არსებული საქონლის სტანდარტულ პარამეტრების მიხედვით.

სააგენტოს

- ✓ კვალიფიციური მიმწოდებლის შერჩევის მიზნით, შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდეს ბაზრის სრულყოფილი გამოკვლევა. აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მატერიალურ და იდენტიფიცირებად მტკიცებულებებს. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა;
- ✓ შესაბამისი ეფექტიანი კონტროლის სისტემების დანერგვისა და პროგრამის მუშაობის არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, თავიდან იქნას აცილებული შეზღუდულ ვადებში შესყიდვის შეუფერხებელი განხორციელების საჭიროება;
- ✓ პროგრამის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით შეიქმნას და დაინერგოს მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული, საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე (განაცხადების მიღებიდან - მიღება/ჩაბარების აქტების ჩათვლით) კონტროლის ეფექტური გარემოს ფორმირებას.

2. „მინდობით აღზრდა“:

სამინისტროს:

- ✓ შემუშავდეს - მინდობით აღზრდის სერვისისათვის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული სახელმწიფო ზრუნვის პირობებში სოციალ-ეკონომიკური გარემოს მახასიათებლების და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საერთაშორისოდ აღიარებულ დონეს.

სააგენტოს:

- ✓ ქვეპროგრამის ადმინისტრირების მიზნით დაინერგოს მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული, საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო

ზრუნვის სახეების მიხედვით ბენეფიართა ბაზის სისრულეს და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ანგარიშწორების სიზუსტეს და სისწორეს.

3. „მცირე საიჯახო ტიპის სახლები“:

სააგენტოს:

- ✓ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მიზნით, ბენეფიციართა უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი გარემოებების არსებობის პირობებში განხილული იქნას მცირე საიჯახო ტიპის სახლების ოპტიმიზაციის საკითხი.

4. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“:

სამინისტროს:

- ✓ შემუშავდეს „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დახმარების“ კონცეფცია, რომელიც დაარეგულირებს ქვეპროგრამის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს: სერვისების სახეებს, დაყოვნების ვადებსა და ა. შ. ასევე შექმნის პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მანუალურ საფუძველს;
- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების და სამიზნე ჯგუფების მიხედვით ანგარიშსწორების სიზუსტეს და სისწორეს;
- ✓ დაინერგოს მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც ინტეგრირებული იქნება სააგენტოს სოციალური ინფორმაციების მართვის სისტემასთან. აღნიშნულმა ბაზამ უნდა უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატური გენერირება;
- ✓ ქვეპროგრამის სერვისების რეალურ პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოხდეს ბავშვზე ზრუნვის არსებული სტანდარტების მოთხოვნათა გადასინჯვა.

5. „დღის ცენტრები“:

სააგენტოს:

- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მიმწოდებელ ორგანიზაციებში ბენეფიციართა დასწრების აღრიცხვას და გაწეული მომსახურების და სამიზნე ჯგუფების მიხედვით ანგარიშსწორების სიზუსტეს და სისწორეს.

6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“:

სამინისტროს:

- ✓ შემუშავებული იქნას დაფინანსების ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით არსებული პრაქტიკის და ფასწარმოქმნის ფაქტორების გათვალისწინებით, განსაზღვრული ფასის ზედა

ზღვრის ფარგლებში, იმპლანტის მორგება-რეგულირებისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება *ფაქტობრივად* გაწეული ხარჯის მიხედვით.

სააგენტოს:

- ✓ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც პროგრამის ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს დამხმარე საშუალებების ოპტიმალური მარაგის ფორმირებას და მისი გათვალისწინებით შესასყიდი საქონლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრას.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

„სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის (შემდგომში პროგრამა) ფარგლებში 2012 წლიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში სამინისტროსა და სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის 2012-2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში შემდეგი ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული საქმიანობა:

1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“;
2. „მინდობით აღზრდა“;
3. „მცირე საოჯახო ტიპის სახლები“;
4. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“;
5. „დღის ცენტრები“;
6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის“ 2012, 2013, 2014 და 2015 წლების სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ: N503 29.12.2011 წელი, N74 28.03.2013 წელი, N291 14.04.2014 წელი, N138 30.03.2015 წელი;
- საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის N22 დადგენილება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების, დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/ნ ბრძანება „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს № 04-515/ო ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური ფორმების და სააგენტოს სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების წესი“;
- ბავშვის უფლებათა კონვენცია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2012-2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც გამორიცხავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100).

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“.

„ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

პროგრამის მოკლე მიმოხილვა

მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება.

ქვეპროგრამების (გარდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა) მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და შესაბამის სარგებელს იღებენ სახელმწიფო დახმარების სახით.

პროგრამას ახორციელებს სააგენტო.

დაფინანსების წესი: დაფინანსება ხორციელდება - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად ან *ვაუჩერების* მეშვეობით, რომელიც არის მატერიალიზებული ან არამატერიალიზებული და არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს.

ვაუჩერების გამოყენებით დაფინანსებული ქვეპროგრამების შემთხვევაში, მიმწოდებლად მსურველ პირს არეგისტრირებს *სამინისტრო* ან *სააგენტო*. მარეგისტრირებელი ორგანოები გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესაბამისად ადგენენ სარეგისტრაციო მოთხოვნებს; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი დადგენილების შესაბამისად, მიმწოდებლის წერილობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე წარმოადგენს შეთანხმებას და დამატებითი ხელშეკრულება მხარეებს შორის აღარ ფორმდება.

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი: დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის „35 02 03“ ორგანიზაციული კოდით განსაზღვრული ასიგნება.

აუდიტის პერიოდში პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და გაწეული საკასო ხარჯი:

N	ქვეპროგრამის დასახელება	2012 წელი		2013 წელი		2014 წელი		2015 წლის 6 თვე	
		ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
1	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	46,860	46,860	304,000		243,000	243,000	246,600	244,576
2	მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	259,200	258,417	404,500	392,648	781,500	775,176	223,414	223,410
3	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	2,175,066	2,154,792	2,838,200	2,502,593	2,762,400	2,762,400	1,550,000	1,550,000
4	მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საოჯახო მომსახურების ქვეპროგრამა	6,221,220	6,192,612						
5	მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა			5,681,400	4,893,911	5,822,500	5,799,620	3,050,000	3,046,895
6	მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა			2,263,300	2,021,954	2,245,700	2,243,119	1,107,000	1,100,756
7	ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	453,090	439,650						
8	სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა	358,470	343,780	686,600	582,013	836,000	815,806	488,800	483,702
9	დასვენება-გაჯანსაღებისა და საკურორტო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა	97,944	97,944						
10	ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა	828,888	760,648	1,241,000	960,165	1,424,530	1,357,521	640,000	640,000
11	ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	40,000	30,181	40,000	33,925	40,000	33,850	0	0
12	ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა	96,150	88,310	232,500	186,409	438,000	425,596	373,500	365,237
13	ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	19,200	19,200	12,800		28,000	23,970	20,000	19,975
14	დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	36,000	33,500						
15	დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	4,287,742	3,761,556	3,576,700	2,998,049	3,543,870	3,206,504	510,800	509,757
16	დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	9,110		271,000	169,027	310,000	306,850	179,000	178,007
17	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა					1,164,500	1,164,500	433,386	430,526
18	მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	2,472,060	2,460,881						
	ჯამი	17,401,000	16,688,331	17,552,000	14,740,695	19,640,000	19,157,912	8,822,500	8,792,841

აუდიტის პერიოდში ბიუჯეტის ცვლილებების არსებითი ნაწილი (*მ. შორის პროგრამის მთლიანი ბიუჯეტის*) განხორციელებულია 2012 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული 2012 წლის პროგრამული ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 13,450,000 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მთლიანმა პროგრამულმა ბიუჯეტმა ცვლილება განიცადა 3-ჯერ, ჯამში ბიუჯეტი გაიზარდა 3,951,000 ლარით და დაზუსტდა 17,401,000 ლარზე. ასევე, აღნიშნულ წელს „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა (ოთხჯერ) სულ - 544,800 ლარის ოდენობით. აღნიშნული საბიუჯეტო სახსრები გაცემულია სააგენტოს შტატგარეშე სოციალურ მუშაკებზე „საქონელი და მომსახურების - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით“. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ცნობების თანახმად (*ცვლილების ცნობები: N450 19.11.12 წ. და N472 24.12.12წ.*), 234,800 ათასი ლარი გაცემულია სოციალური მუშაკების წახალისებისთვის. პრემია გაიცემოდა იმ შტატგარეშე მოსამსახურეებზე, რომლებიც მიიღებინ სამსახურში დავალების შესრულების ვადით (*დროებით*) არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად¹. დანარჩენი 310,000 ლარის საბიუჯეტო სახსრების გაზრდის შესახებ აუდიტის ობიექტმა დოკუმენტურად დასაბუთებული საფუძვლები ვერ წარმოადგინა.

2012 წლის შემდგომ, მთლიან პროგრამულ ბიუჯეტს ცვლილებები აღარ განუცდია. რაც შეეხება ცვლილებებს ქვეპროგრამებს შორის, ყველაზე სისიტემატურ და მოცულობით ცვლილებას (*კლების კუთხით*) განიცდიდა „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ ბიუჯეტი - სულ გადანაწილებულია 3,527,594 ლარი.

ცვლილებების მოთხოვნით ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ წერილებში, ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების გადანაწილების აუცილებლობა არა არის არგუმენტირებული და დასაბუთებული.

აუდიტის პერიოდში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამაში ქვეპროგრამების მიხედვით ხორციელდებოდა შინაარსობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები: დაემატა, გაერთიანდა და ზოგიერთიც საერთოდ გაუქმდა.

აუდიტის ჯგუფის მიერ დეტალური შესწავლისათვის შეირჩა შემდეგი ქვეპროგრამები:

1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“;
2. „მინდობით აღზრდა“;
3. „მცირე საოჯახო ტიპის სახლები“;
4. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“;
5. „დღის ცენტრები“;
6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“.

¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი.

1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“

ზოგადი ინფორმაცია

ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის, გაძლიერების და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ ბავშვთა შედინების პრევენციის მიზნით, პროგრამას 2014 წლიდან დაემატა „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამა. 2015 წელს კი მოცემულ ქვეპროგრამას კომპონენტის სახით შეუერთდა „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ (რომელიც 2015 წლამდე მიმდინარეობდა დამოუკიდებელი ქვეპროგრამის სახით).

ამოცანა: სილატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვების მიტოვების რისკის შემცირება, რომლის ფარგლებში 1 წლის განმავლობაში ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულება არ აღემატება 1,000 ლარს.

სამიზნე ჯგუფი: სამიზნე ჯგუფის ქვეპროგრამაში ჩართვის და შესასყიდი საქონლის/მომსახურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრის ბრძანებით² შექმნილი კომისია. ამავე ბრძანებითვე განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა და მისი მუშაობის პროცედურები. საწყის ეტაპზე, მთავრობის დადგენილებით პროგრამის სამიზნე ჯგუფი განსაზღვრული იყო ზოგადად - სილატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებდნენ გადაუდებელ პირველად დახმარებას. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულმა კომისიამ მკაფიოდ განსაზღვრა³ ბენეფიციართა ის კატეგორია, რომლებიც ექვემდებარებოდნენ პროგრამაში ჩართვას, თუმცა აღნიშნული მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში არ ასახულა (გადაიდო მომდევნო წლისათვის და აისახა მხოლოდ 2015 წლიდან⁴). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია ინფორმაცია სამიზნე ჯგუფების შესახებ წლების მიხედვით:

2014 წელი (კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული)	2015 წელი (მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული)
ოჯახები, სადაც რეინტეგრირებული იყო ბავშვი	რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვიანი ოჯახები
ოჯახები, რომელთაც ჰყავთ ერთი ან მეტი შშმ ბავშვი	რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახი, თუკი დახმარების შესახებ განცხადების გაკეთების დროისათვის რეინტეგრაციის განხორციელებიდან არ არის გასული 90 კალენდარული დღე
სამი და მეტი ბავშვიანი ოჯახები	ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი

² N01-122/ო 22.05.2014 წელი.

³ ოქმი N2 10.06.2014 წელი.

⁴ ოქმი N10 06.11.2014 წელი.

სოციალურად დაუცველი ოჯახები	ოჯახი, რომელშიც ბავშვთან/ებთან ერთად ცხოვრობს არაუმეტეს ერთი სრულწლოვანი
და სხვა	ოჯახი, რომელშიც ცხოვრობს სამი ან მეტი ბავშვი
	ბავშვიანი ოჯახი, რომელიც განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 57 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა
	განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე სხვა ბავშვიანი ოჯახები

ქვეპროგრამის ბიუჯეტი და საკასო ხარჯი:

2014 წელი		2015 წლის 6 თვე	
ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
1,164,500	1,164,500	433,386	430,526

შესყიდვები

საჭიროების და შესასყიდი საქონლის სპეციფიკაციის განსაზღვრა

1.1. კრიტერიუმი: შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე შემსყიდველის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა და შესასყიდი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა: ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოება, ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და მარკირება, წარმოების მეთოდები და პროცესები, სიმბოლოები, ტერმინოლოგია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნები და ა.შ.⁵

რაციონალური, ანუ საუკეთესო შესყიდვის პოტენციალის 70% მოდის შესყიდვის პროცესის პირველი ორი ეტაპის: 1)საჭიროების იდენტიფიცირების და 2)სპეციფიკაციის შემუშავების სწორ, ორგანიზებულ წარმართვაზე⁶.

გამოვლენილი გარემოება: სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, რომელშიც დაფიქსირებულია ოჯახის თანხმობა ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, კომისია განსაზღვრავს ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების პრიორიტეტებს და შესასყიდი საქონლის ჩამონათვალს. დასკვნაში, ოჯახის ზოგადი მდგომარეობის მოკლე აღწერასთან ერთად, მიეთითება თუ კონკრეტულად რა სახის დახმარება ესაჭიროება ოჯახს: საკვები (ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (ბავშვების სქესი, ასაკი, რ-ობა და ზომები), საწოლი (ზომები და რ-ობა), ჭურჭელი (სახეობები და რ-ობები) და სხვა საჭიროებები.

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁶ მ.ლინდერსი, ფ. ჯონსონი, ა. ფლინი, გ. ფირონი „შესყიდვების და მიწოდების მართვა“ 2007 წ. გვ.157.

ამასთან, კომისიამ ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრა შესასყიდი საქონლის (გარდა სასკოლო ნივთების) მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლები.

არის შემთხვევები:

- კომისიის გადაწყვეტილებით⁷ შესასყიდი ნივთების ჩამონათვალს დაემატა საქონელი, რომლის შეძენაც აუდიტის პერიოდში არ განხორციელებულა.
- ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასყიდი საქონლის კონკრეტული მახასიათებლის პარამეტრი არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოცემული საქონლის სტანდარტულ პარამეტრებს, რის გამოც შესყიდულია განსხვავებული პარამეტრის მქონე საქონელი.

შედეგი: იმ ფაქტმა, რომ საქონლის კონკრეტული მახასიათებლის პარამეტრი არ შეესაბამება აქტიურ ბაზარზე არსებული მოცემული საქონლის სტანდარტულ პარამეტრებს, გაზარდა მოცემული კონტრაქტის მიღების მიზნით განაცხადების (წინადადებების) რაოდენობის შეზღუდვის რისკი.

ბაზრის გამოკვლევა და მიმწოდებლის შერჩევა

1.2. კრიტერიუმი: პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მისაღები პირობების განსაზღვრის მიზნით, შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნას ბაზრის გამოკვლევის შედეგები⁸. შესყიდვების ლიტერატურა განასხვავებს ბაზრის მოკვლევის ექვს ძირითად მიმართულებას:

- ბაზრის სტრუქტურა;
- კონკურენციის პირობები;
- ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი;
- შემცვლელი (ალტერნატიული) საქონელი/მომსახურება;
- შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც კლიენტის მნიშვნელობა;
- სხვა გარემო ფაქტორები.

ბაზრის მოკვლევისას ზემოაღნიშნული მიმართულებების გამოყენებადობა დამოკიდებულია ბაზრის კვლევის ჩატარების კონკრეტულ მიზნებზე და განისაზღვრება ინდივიდუალურად, შემსყიდველი ორგანიზაციის შეხედულებისამებრ.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს სააგენტოს მიერ ბაზრის გამოკვლევა ძირითადად მიმდინარეობდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საქონლის პოტენციური მიმწოდებლების ფასთა გამოკითხვის გზით. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რიტეილერებთან (საცალო მოვაჭრე) - შემდეგ ქსელურ სუპერმარკეტებთან: „გუდვილი“,

⁷ ოქმი N10 06.11.2014 წელი.

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ე) ქვეპუნქტი.

„კარფური“, „ფუდმარტი“. კომისიამ 2014 წლის 11 სექტემბრის⁹ ოქმით მოიწონა შპს „კარფურის“ წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მოცემული გადაწყვეტილებიდან თვენახევრის შემდეგ, კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის¹⁰ სხდომის თანახმად კი მიმწოდებლად შერჩეული იქნა 2014 წლის 23 სექტემბერს რეგისტრირებული შპს „უნივერსალ ფუდი“ და მასთან 21 ოქტომბერსვე გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით - 962,395 ლარი, რაც 71,721 ლარით ნაკლები იყო შპს „კარფურის“ წინადადებასთან შედარებით.

2015 წელს ბაზრის გამოკვლევის მიზნით სააგენტომ განცხადებები განათავსა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სამინისტროსა და საკუთარ ვებ გვერდებზე 13 მაისსა და 25 მაისს. ამასთან, ელექტრონულ ფოსტის საშუალებით აწარმოებდა კომუნიკაციას სხვადასხვა ქსელურ სუპერმარკეტებთან (*კარფური, გუდვილი, ფუდმარტი, ფრესკო, სმატრი, ნუგეში*). აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, სააგენტოში შესასყიდი საქონლის ფასების შესახებ ინფორმაცია წარადგინა მხოლოდ სამმა კომპანიამ - „კარფური“, „უნივერსალ ფუდმა“ და „ლაქი“. შპს „ლაქის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ იყო მითითებული „საქონლის მახასიათებლების“ პოზიცია, აქედან გამომდინარე კომპანიის მიერ წარმოდგენილი საქონლის ტექნიკურ-ხარისხობრივი „ექვივალენტობა“ სხვა კომპანიებთან შედარებით არ დასტურდება. სააგენტომ 2015 წლის 22 ივნისს ხელშეკრულება გააფორმა **შპს „ლაქისთან“**¹¹ – 605,020 ლარის საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე.

შპს „უნივერსალ ფუდი“-ს და შპს „ლაქი“-ს სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია. ორივე კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორს (*ასევე დირექტორი*) კომპანიების რეგისტრაციის მომენტში წარმოადგენდა ერთიდაიგივე ფიზიკური პირი.

აღნიშნული კომპანიების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების (*საქმიანობის საწყის პერიოდში*) არსებით ნაწილს წარმოადგენდა, მოცემული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები:

კომპანიის დასახელება	წელი	სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების % წილი წლიურ გაყიდვებში
შპს „უნივერსალ ფუდი“	2014	93
შპს „ლაქი“	2015 წლის 6 თვე	100

⁹ ოქმი N6 11.09.2014 წელი.

¹⁰ ოქმი N8 21.10.2014 წელი.

¹¹ საიდენტიფიკაციო ნომერი 402007626

1.3. კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელოს შესყიდვები, რისთვისაც პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას¹². სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი.¹³

გამოვლენილი გარემოება: კონკრეტულ შემთხვევაში შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა (საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები). აღნიშნულმა გაზარდა საქონლის მიწოდების ჯაჭვში ახალი რგოლის წარმოშობის და შესაბამისად, საქონლის ღირებულების (ფასის) ზრდის რისკი, რაც დასტურდება მიწოდებული საქონლის ნომენკლატურულ შემადგენლობაში არსებითი ხვედრითი წილით წარმოდგენილი საქონლის „ფასნამატის“ მაჩვენებლით:

დასახელება	შპს "უნივერსალ ფუდი"					შპს "ლაქი"				
	%-ული წილი მიწოდებაში	შესყიდვის საშუალო ფასი	მიწოდების ფასი	ფასნამატი ლარი	ფასნამატი %	%-ული წილი მიწოდებაში	შესყიდვის საშუალო ფასი	მიწოდების ფასი	ფასნამატი ლარი	ფასნამატი %
მაცივარი	18.47	353.00	478.00	125	35.41	23.4	399.00	540.00	141	35.34
მაგიდაზე დასადგმელი გაზქურა	1.44	27.00	47.00	20	74.07	1.0	34.11	48.00	13.89	40.72
სარეცხი მანქანა	9.97	419.40	554.00	134.60	32.09	14.4	489.25	553.00	63.75	13.03
ხორბლის ფქვილი	4.84	0.91	1.05	0.14	15.38	5.8	1.10	1.15	0.051	4.64
ბრინჯი	0.89	1.47	1.32	-0.15	-9.96	1.3	1.52	1.75	0.23	15.13
წიწიბურა	1.05	2.05	1.55	-0.50	-24.28	2.0	2.52	2.70	0.18	7.14
ვერმშელი	0.72	1.42	1.35	-0.07	-4.80	1.1	1.80	1.90	0.096	5.32
ლობიო	1.94	2.99	3.45	0.46	15.38	2.1	3.15	3.45	0.3	9.52
რძის ფხვნილი	8.37	5.86	15.70	9.84	168.10	8.0	6.50	14.00	7.5	115.38
შედგებული რძე	2.24	1.18	1.90	0.72	61.02	2.4	1.25	1.90	0.65	52.00
ზეთი	0.91	2.39	2.65	0.26	10.88	1.1	2.90	2.75	-0.15	-5.17
შაქარი	0.75	1.46	1.40	-0.06	-4.11	0.9	1.50	1.55	0.05	3.33
ქვაბი დიდი	1.06	22.31	34.95	12.64	56.68	0.8	24.89	35.00	10.11	40.62
ტაფა	1.14	19.57	45.50	25.93	132.50	1.0	28.56	45.00	16.44	57.56
ბიჭისქურთუკი	1.46	33.00	45.00	12.00	36.36					
გოგოს ქურთუკი	0.89	31.00	29.00	-2.00	-6.45					

¹² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი.

¹³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 73-2 მე-4 პუნქტი.

საწოლი	31.81	173.55	337.00	163.45	94.18	19.1	190.00	350.00	160	84.21
საწოლი ორადგილიანი	2.55	232.23	546.00	313.77	135.11	2.2	260.00	560.00	300	115.38
საწოლი საბავშვო	1.99	130.84	298.00	167.16	127.76	1.0	150.00	300.00	150	100.00
საწოლი ორსართულიანი (საბავშვო)						4.7	350.00	460.00	110	31.43
მაგიდა						1.7	70.00	150.00	80	114.29
სკამი (ე.წ. "ტაბურეტი")						2.3	20.00	30.00	10	50.00

ამასთან, საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე გაანგარიშებულმა „ფასნამატმა“ შპს „უნივერსალ ფუდის“ მიხედვით შეადგინა:

	2014 წელი	2015 წელი
ფასნამატის %	62	19

2014 წელს, როდესაც შპს „უნივერსალ ფუდის“ მიერ განხორციელებული სამეწარმეო-კომეციული საქმიანობის არსებით წილს შეადგენდა სააგენტოსთან გაფორმებული კონტრაქტები - მნიშვნელოვნად მაღალია „ფასნამატის“ მაჩვენებლები, ვიდრე 2015 წელს, როდესაც კომპანიის ძირითადი დამკვეთი აღარ იყო სააგენტო და იგი ბიზნეს-საქმიანობას ახორციელებოდა კონკურენტულ საბაზრო პირობებში.

შპს „უნივერსალ ფუდთან“ და შპს „ლაქისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საქონლის მიწოდებამდე წინასწარი ანგარიშწორების შესაძლებლობა. შპს „უნივერსალ ფუდის“ მიხედვით ავანსის სახით, საბანკო გარანტიის საფუძველზე, განხორციელებულია ანგარიშსწორება 947,086 ლარის (ხელშეკრულებების *ჯამური ღირებულების 70%-ი*), ხოლო შპს „ლაქის“ მიხედვით - 586,487 ლარის (ხელშეკრულებების *ჯამური ღირებულების 90%-ი*) ოდენობით.

შედეგი: კონტრაქტი გაფორმდა ისეთ მიმწოდებელთან, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ბიზნესის მოცემულ სფეროში, უფრო მეტიც, ეკონომიკური საქმიანობა საერთოდ არ ჰქონდა განხორციელებული; აღნიშნულმა და ასევე იმ გარემოებამ, რომ შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა, მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით წარმოდგენილ ზოგიერთი საქონლის მიხედვით განაპირობა საბაზრო პირობებისადმი შეუსაბამო მაღალი „ფასნამატის“ მაჩვენებლი.

გამოყენებული შესყიდვის საშუალების შეუსაბამო ფაქტობრივი საფუძველი

1.4. კრიტერიუმი: თუ სახელმწიფოებრივი¹⁴ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი ჩატარების მიზნით შესყიდვის განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, შემსყიდველს შეუძლია შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვით. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით შემსყიდველს (ადმინისტრაციულ ორგანოს) ეძლევა შესაძლებლობა კანონის ზემოაღნიშნული ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. შემსყიდველი (ადმინისტრაციული ორგანო) ვალდებულია გაიაზროს, თუ რა მიზნის მისაღწევად აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება, რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეაფასოს შემთხვევა და მიიღოს გადაწყვეტილება.

გამოვლენილი გარემოება: საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 14 აპრილის დადგენილებით¹⁵ დაადგინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში საქონლის (საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები) შესყიდვის) შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობა და სააგენტო აღიჭურვა გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილებით. სააგენტომ 2014 წლის 21 ოქტომბერს და 26 დეკემბერს, გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულებები შპს „უნივერსალ ფუდთან“ ღირებულებით 962,395 და 202,105 ლარის საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე. 2015 წელს მთავრობის დადგენილებით პროგრამის დამტკიცებამდე, მისი უწყვეტად განხორციელების უზრუნველსაყოფად¹⁶, ისევ შპს „უნივერსალ ფუდთან“ გაფორმდა ხელშეკრულება¹⁷ - 195,000 ლარის ოდენობით.

სააგენტომ შპს „უნივერსალ ფუდთან“ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 2014-15 წლებში გააფორმა სულ სამი ხელშეკრულება - 1,359,500 ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში მინიჭებული უფლებამოსილების მიზანს წარმოადგენდა მთავრობის მიერ „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ ღონისძიების („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები) შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელება. ფაქტობრივი გარემოებით, კერძოდ იმ ფაქტით, რომ 2014 წლის მიხედვით პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვა განხორციელდა დადგენილების გამოცემიდან 6

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 - 1 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი.

¹⁵ 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.13

¹⁶ ოქმი N2 25.02.2015 წელი.

¹⁷ N35020313/1

და 8 თვის შემდეგ, ე.ი. ის მიზანი, რომლის გამოც სააგენტოს მიენიჭა გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების უფლებამოსილება, არ იქნა მიღწეული.

მიზეზი: შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად შესყიდვის განხორციელება წარმოიშვა არა გარემოებათა ობიექტური განვითარებით, არამედ შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის მართვის ხარვეზებით და სუსტი კონტროლის მექანიზმებით.

შედეგი: შესყიდვის გაჭიანურება და ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა.

მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა

1.5. კრიტერიუმი: სააგენტოსა და შპს „უნივერსალ ფუდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁸ N1 დანართის (რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესაბამისად განსაზღვრული იყო მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები.

გამოვლენილი გარემოება: შპს „უნივერსალ ფუდთან“¹⁹ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ფასები განსაზღვრული იყო ხელშეკრულების დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. 2014 წლის 24 დეკემბერს შევიდა ცვლილება ხელშეკრულებაში²⁰, დაკორექტირდა მისაწოდებელი საქონლის რაოდენობები (გაიზარდა/შემცირდა) და ამოღებულ იქნა მისაწოდებელი პროდუქციის მახასიათებლების პოზიცია. ამ დროისათვის „უნივერსალ ფუდს“ მიწოდებული ჰქონდა მხოლოდ 541,661 ლარის პროდუქცია, ანუ სახელშეკრულებო თანხის 57%.

„უნივერსალ ფუდის“ მიერ მოწოდებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის - მაცივარი - ზოგიერთი მახასიათებელი არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულს; კერძოდ, 522 ცალი მიწოდებული მაცივრიდან **257 ცალი მაცივარი (49%)** არ არის ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან შესაბამისობაში - დარღვეულია საერთო სასარგებლო მოცულობისა და ზომების პარამეტრები.

მიზეზი: ხელშეკრულებით (მისი მოქმედების გარკვეულ პერიოდში) არ იყო განსაზღვრული შესასყიდი საქონლის პარამეტრები; მიღებული საქონლის ხარისხის ეფექტური კონტროლის მექანიზმის არარსებობა.

შედეგი: შეყიდული იქნა ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლებისაგან (პარამეტრებისგან) განსხვავებული, დაბალი პარამეტრების მქონე საქონელი.

¹⁸ N35020318/4; N35020318/5; N35020313/1

¹⁹ საიდენტიფიკაციო ნომერი 404478873

²⁰ შეთანხმება N35020318/4-1

დასკვნა: სააგენტოს მიერ მოცემული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამოა ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მოთხოვნებთან, კერძოდ:

- საჭიროებად განისაზღვრა ისეთი საქონელი, რომელიც საერთოდ არ შესყიდულა; შესასყიდი საქონლის კონკრეტული მახასიათებლის პარამეტრი არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოცემული საქონლის სტანდარტულ პარამეტრებს, რის გამოც შესყიდულია განსხვავებული პარამეტრის მქონე საქონელი.
- ბაზრის არასრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე კონტრაქტი გაფორმდა ისეთ მიმწოდებელთან, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ბიზნესის მოცემულ სფეროში, უფრო მეტიც, ეკონომიკური საქმიანობა საერთოდ არ ჰქონდა განხორციელებული; აღნიშნულმა და ასევე იმ გარემოებამ, რომ შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა, განაპირობა მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით წარმოდგენილი ზოგიერთი საქონლის მიხედვით საბაზრო პირობებისადმი შეუსაბამო მაღალი „ფასნამატის“ მაჩვენებლი;
- შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად შესყიდვის განხორციელება წარმოიშვა არა გარემოებათა ობიექტური განვითარებით, არამედ შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის მართვის ხარვეზებით და სუსტი კონტროლის მექანიზმების არსებობით, რომლებმაც თავის მხრივ განაპირობა შესყიდვის გაჭიანურება და ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა.

საქონლის ბენეფიციარებზე გადაცემა

1.6. კრიტერიუმი:

- პირველადი აღრიცხვის დოკუმენტით (მ. შორის მიღება/ჩაბარების აქტით) დასტურდება ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტი. პირველად დოკუმენტებში აღინიშნება შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, ეკონომიკური მოვლენის შინაარსი, ზომის ერთეული (თუ გააჩნია გაზომვის ფიზიკური ერთეული, რომელთანაც შესაძლებელია ფასების დაკავშირება), რაოდენობა, ფასი, თანხა, ეკონომიკური მოვლენის განმახორციელებელი ან/და დოკუმენტების სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან.²¹

²¹ საქ. პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი და საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი.

- კომისია იღებს გადაწყვეტილებას თითოეული ოჯახისათვის დახმარების დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს დახმარების მიზნით შესასყიდი კონკრეტული საქონლის/მომსახურების დასახელება(ები), რაოდენობა და შესაბამისად, დახმარების მაქსიმალური ღირებულება. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ოჯახის საარსებო პირობებისა და კონკრეტული დახმარების საჭიროების შესახებ სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნით.

გამოვლენილი გარემოება:

- მიღება-ჩაბარების აქტის დანართების გარკვეული ნაწილი - **269,900 ლარის** ოდენობით, ხელმოუწერელია;
- სააგენტოს მიერ ბენეფიციარებზე გაცემული აქვს კომისიის სხდომის ოქმით გაუთვალისწინებელი საქონელი, ასევე რიგ შემთხვევებში ისეთ ოჯახებზე, რომლებიც ოქმებით არ იყო გათვალისწინებული, ღირებულებით - **3,483 ლარის** ოდენობით.

მიზეზი: სუსტი კონტროლის მექანიზმები.

შედეგი: შეუძლებელია მოცემული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით ცალკეულ ოჯახზე გაცემული/მიღებული პროდუქციის სახეობების და რაოდენობის იდენტიფიცირება/დადასტურება.

დასკვნა:

1. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო დასაბუთებული რწმუნება ხელმოუწერელი მიღება-ჩაბარების დანართების მიხედვით ბენეფიციარ ოჯახებზე გაცემული/მიღებული პროდუქციის სახეობების და რაოდენობის შესახებ;
2. კრიტერიუმის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ საქონელი გაცემულია კომისიის ოქმებით გაუთვალისწინებელ პირებზე.

კონტროლის გარემოს სისუსტეები

- ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზის წარმოების მიზნით, სააგენტოს დირექტორის ბრძანების²² შესაბამისად უნდა შექმნილიყო IT პროგრამა, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ყველა სახის ინფორმაციის დამუშავება (შემოსული განცხადებიდან - მიღებული სარგებლის ჩათვლით). ამავე ბრძანებითვე დამტკიცდა მომსახურებაში მოსათავსებელი მადიებელების რეესტრის ფორმა და მისი წარმოების წესი, სადაც ასევე მიეთითება ოჯახის გადაუდებელი

²² N04-121/ო 27.04.2015 წელი.

საჭიროებების ჩამონათვალი. სოციალური მუშაკების მიერ შედგენილი დასკვნები 2015 წლის მაისამდე ტერიტორიული ერთეულების მიერ იგზავნებოდა სააგენტოს ცენტრალურ აპარატში. შემდეგ, მამიებელთა შესახებ ინფორმაცია იგზავნება მეურვება-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტში Excel-ის ფორმატით დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. აუდირებულ პერიოდში სააგენტოში არ იყო შექმნილი ზემოაღნიშნული პროგრამა და მამიებელთა ერთიანი რეესტრის წარმოება ხდებოდა excel-ის ფაილის მეშვეობით, რომელშიც შეიტანება სააგენტოს ადგილობრივი და თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრებიდან ყოველი თვის ბოლოს, ოჯახების შესახებ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, გამოგზავნილი ინფორმაცია. აღნიშნული ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზის არ არსებობა იწვევს პროგრამის ტექნიკურ გაუმართაობას და მის მუშაობაში ნაკლოვანებებს;

- კომისიის სხდომის ოქმებში არ ფიქსირდება გასაცემი თანხის ოდენობა, მიეთითება მხოლოდ ოჯახების ჯამური რაოდენობა, რამდენზედაც გაიცემა დახმარება. ოქმებს თან ერთვის Excel-ის ფაილის სახით დანართი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ბენეფიციართა იდენტიფიცირება (სახელი, გვარი, რეგიონი, მისამართი და ა.შ.), ასევე მათთვის გადასაცემი საქონლის დასახელება და რაოდენობები, დანართი შესაბამისი ხელმოწერ(ებ)ით არ არის დადასტურებული;
- კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარები მომსახურებას ღებულობდნენ დაგვიანებით, რომელიც შეადგენს რიგ შემთხვევებში განცხადების დაწერიდან 3, 4, 5 და მეტ თვეს.

რეკომენდაცია კომისიას:

- ✓ პროგრამის ბენეფიციართა საჭიროების რაციონალურად დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური მუშაკის დასკვნისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სამიზნე ჯგუფების მიხედვით შეიმუშაოს გადაუდებელი პირველადი საჭიროების შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების სისტემა და შესასყიდი საქონლის მახასიათებლების დიაპაზონი განსაზღვროს აქტიურ ბაზარზე არსებული საქონლის სტანდარტულ პარამეტრების მიხედვით.

რეკომენდაცია სააგენტოს:

- ✓ კვალიფიციური მიმწოდებლის შერჩევის მიზნით, შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდეს ბაზრის სრულყოფილი გამოკვლევა. აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მატერიალურ და იდენტიფიცირებად მტკიცებულებებს. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა;

- ✓ შესაბამისი ეფექტიანი კონტროლის სისტემების დანერგვისა და პროგრამის მუშაობის არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, თავიდან იქნას აცილებული შეზღუდულ ვადებში შესყიდვის შეუფერხებელი განხორციელების საჭიროება;
- ✓ პროგრამის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით შეიქმნას და დაინერგოს მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული, საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე (განაცხადების მიღებიდან - მიღება/ჩაბარების აქტების ჩათვლით) კონტროლის ეფექტური გარემოს ფორმირებას.

2. „მინდობით აღზრდა“

ზოგადი ინფორმაცია

ამოცანა: მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა, ხოლო *ღონისძიებები* მოიცავს ბავშვების ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ზრუნვას, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობას.

2013 წლიდან ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ქვეპროგრამის სახით.

სამიზნე ჯგუფები: ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ასევე, მინდობით აღზრდაში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ვერ ხერხდება.

მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე პირი:

- რომელიც არის ობოლი;
- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- რომლის მშობელსაც (მშობლებსაც) შეეზღუდა, ჩამოერთვა ან შეუჩერდა მშობლის უფლება-მოვალეობები.

მიმღები მშობელი (დედობილ/მამობილი) კი შიძლება იყოს სრულწლოვანი პირი - საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე²³.

დაფინანსების წესი

²³ „შვილად აყვანისა და მიდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/5 ბრძანებით დამტკიცებული „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემის შესახებ რეგიონული საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხოლო გადაუდებელი მინდობით აღზრდისას - დედობილ/მამობილის რეგისტრაციის შემთხვევაში, სააგენტოსა და ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ. ის შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რეგიონალური საბჭო²⁴.

შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობა²⁵ შეადგენს:

კატეგორია	ანაზღაურების პრინციპი	თანხა (ლარი)
ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვი	ასანაზღაურებელი თანხა თვეში	200
არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვი	ერთი კალენდარული დღე	15
ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული შშმ ბავშვი	ასანაზღაურებელი თანხა თვეში	300
არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული შშმ ბავშვი	ერთი კალენდარული დღე	20
გადაუდებელი მინდობით აღზრდა (მ.შორის შშმ ბავშვი)	ერთი კალენდარული დღე	20

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი:

2013 წელი		2014 წელი		2015 წლის 6 თვე	
ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
5,681,400	4,893,911	5,822,500	5,799,620	3,050,000	3,046,895

ზედმეტად ანაზღაურებული თანხები

2.1. კრიტერიუმი: შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ხელშეკრულების შეწყვეტისას (გარდა არანათესაური და გადაუდებელი მინდობით აღზრდისა) არასრულ თვეზე გაიცემა შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება სრული

²⁴ საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/5 ბრძანებით დამტკიცებული „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ წესის მე-12 მუხლი.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 „სოციალური დახმარების შესახებ“ დადგენილების 10-4 მუხლი.

ოდენობით; არანათესაური და გადაუდებელი მინდობით აღზრდისას ანაზღაურდება ბავშვის მიმღებ ოჯახში ფაქტობრივად ყოფნის კალენდარული დღეები²⁶.

გამოვლენილი გარემოება:

- რვა მინდობით აღსაზრდელის შემთხვევაში (5 - გადაუდებელი და 3 - არანათესაური) ადგილი ჰქონდა მიმღები მშობლების ცვლილებას (შესაბამისად ხელშეკრულებების შეწყვეტას). მოცემულ შემთხვევებში სააგენტოს მიერ მიმღები მშობლების მიხედვით განხორციელდა დუბლირებული ანაზღაურება. **ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 2,115 ლარი.**
- მინდობით აღზრდის ანაზღაურება (არანათესაური) მიმღებ ოჯახებზე გაცემულია ბენეფიციარების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ჩარიცხვის შემდეგაც (6 ბენეფიციარი - არანათესაური). აღნიშნულიდან გამომდინარე, **ზედმეტად ანაზღაურდა 2,475 ლარი.**
- აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებების შეწყვეტას (სხვადასხვა მიზეზებით - გაშვილება, რეინტეგრაციაში გადასვლა და სხვ. სულ 9 ბენეფიციარი, მ.შ. 2 გადაუდებელი და 7 არანათესაური). შეწყვეტის შემდგომაც (და არა ფაქტობრივი კალენდარული დღე) **ზედმეტად ანაზღაურებულია 1,785 ლარის** ოდენობის თანხა.

2.2. კრიტერიუმი: მინდობით აღზრდის ანაზღაურების გაცემა ხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში (გარდა არანათესაური და გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევისა) ყოველთვიურად საანგარიშო თვის 25 რიცხვამდე; ხოლო არანათესაური და გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში, ყოველი თვის 25 რიცხვამდე ანაზღაურდება გასული თვის განმავლობაში ბავშვის მიმღებ ოჯახში ფაქტობრივად ყოფნის კალენდარული დღეები, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა.²⁷

გამოვლენილი გარემოება: სააგენტო მინდობით აღზრდის ანაზღაურებას არანათესაური და გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე გასცემდა საანგარიშო თვის 25 რიცხვამდე წინასწარ. მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, **წინასწარ გადარიცხული** თანხის ჯამი შეადგენს სულ - **5,119,775 ლარს** (აქედან 3,979,475 ლარი გადარიცხულია 2012 წელს, ხოლო - 1,140,300 ლარი 2013 წლის სამ თვეში).

2012 წლის იანვრის თვეში არანათესაური (როგორც ჯანმრთელი, ისე შშმ ბავშვისთვის) და გადაუდებელი მინდობით აღზრდის ანაზღაურება გაცემულია 31 დღეზე დაანგარიშებით, **ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 8,515 ლარი.**

²⁶ საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/6 ბრძანებით დამტკიცებული „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ წესის მე-13 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები.

²⁷ საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/6 ბრძანებით დამტკიცებული „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ წესის მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

დასახელება	თანხა
არანათესაური მინდობით აღზრდა	6,855
შშმ პირის არანათესაური მინდობით აღზრდა	1,340
გადაუდებელი მინდობით აღზრდა	320
სულ	8,515

2.3. კრიტერიუმი: ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ასევე, მინდობით აღზრდაში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ვერ ხერხდება²⁸.

გამოვლენილი გარემოება: რიგ შემთხვევაში (10 აღსაზრდელი) ანაზღაურება გაცემულია იმ სრულწლოვან, 18 წლის ასაკს გადაცილებულ მინდობით აღსაზრდელებზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებად. **ზედმეტად ანაზღაურებულმა** თანხამ შეადგინა **1,215 ლარი**.

მიზეზი: ანგარიშსწორების პროცესის სუსტი კონტროლის მექანიზმები.

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში **ზედმეტად გადახდილმა** თანხამ შეადგინა - **16,105 ლარი**.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გარემოება დადებითი მოვლენაა თანხის მიმღებისათვის, ის არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის დანიშნულებას, ვინაიდან სააგენტოს მიერ მიმღებ მშობლებთან ანგარიშსწორება განხორციელებულია შესაბამისი სამიზნე ჯგუფების და ანაზღაურების დადგენილი ტარიფების შეუსაბამოდ. ამასთან, ეს გარემოება არასამართლიანია პროგრამის სხვა ბენეფიციარებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიმართ.

კონტროლის გარემოს სისუსტეები

- აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციარების (შერჩეული ბენეფიციარებიდან) პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ 172 შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი ფორმა, რომელიც დგება განხორციელებული ვიზიტების²⁹ შედეგებზე.
- ბავშვზე ზრუნვის - მინდობით აღზრდის სერვისისათვის არ იყო დამტკიცებული მომსახურების სტანდარტები³⁰, რომელიც დაარეგულირებდა სერვისის მიწოდების სტანდარტებს, ბავშვის ურთიერთობას ბიოლოგიურ ოჯახთან და მის მომზადებას

²⁸ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება, „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ მე-3 მუხლი.

²⁹ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს № 04-515/ო ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური ფორმების და სააგენტოს სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების წესის“ დანართები N7, 8 და 9.

³⁰ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ასევე კონფიდენციალურობის დაცვას და მომსახურებიდან გასვლას ან/და მის ცვლილებას.

რეკომენდაცია სამინისტროს:

- ✓ შემუშავდეს - მინდობით აღზრდის სერვისისათვის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული სახელმწიფო ზრუნვის პირობებში სოციალ-ეკონომიკური გარემოს მახასიათებლების და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საერთაშორისოდ აღიარებულ დონეს.

რეკომენდაცია სააგენტოს:

- ✓ ქვეპროგრამის ადმინისტრირების მიზნით დაინერგოს მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული, საინფორმაციო სისტემა რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ზრუნვის სახეების მიხედვით ბენეფიართა ბაზის სისრულეს და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ანგარიშწორების სიზუსტეს და სისწორეს.

3. „მცირე საოჯახო ტიპის სახლები“

ზოგადი ინფორმაცია

ამოცანა: მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა.

სამიზნე ჯგუფები: 6-იდან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები.

ღონისძიებები მოიცავს ბენეფიციართათვის 24-საათიანი მომსახურების მიწოდებას, მინიმუმ სამჯერად კვებას, შესაბამისი ტანისამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარებას, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში ბავშვის დინამიური მეთვალყურეობის უზრუნველყოფას, ფსიქოლოგიურ მომსახურებას, საქართველოს კურორტებზე, ზედიზედ არანაკლებ 12 დღის განმავლობაში დასვენების უზრუნველყოფას, შშმ ბავშვთა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას და სხვ.

2013 წლიდან ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ქვეპროგრამის სახით.

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი:

2013 წელი		2014 წელი		2015 წლის 6 თვე	
ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
2,263,300	2,021,954	2,245,700	2,243,119	1,107,000	1,100,756

მომსახურების მიმწოდებელია სამინისტროში შესაბამისი წესით რეგისტრირებული პირი.

დაფინანსების წესი

ქვეპროგრამის მიმწოდებელთან მომსახურების მისაღებად ბენეფიციართა მოთავსებისა და გაყვანის საკითხები რეგულირდება მინისტრის ბრძანების³¹, ხოლო დაფინანსების წესი განისაზღვრება³² საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება 2013 წლიდან არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით (მანამდე მატერიალიზებული ვაუჩერით), რომელიც გათვალისწინებულია 12 თვიან პერიოდზე და შედგება შესაბამისი თვეების ტალონებისგან.

მომსახურების დღიურ დაფინანსების ტარიფი წლების მიხედვით:

დაფინანსების ერთეული	ტარიფი		
	01.01.2012-01.04.2013	01.04.2013-14.04.2014	14.04.2014-01.07.2015
ჯანმრთელი ბავშვი	15	17	17
შეუვსებელი ლიმიტით განსაზღვრული ადგილები	0	8	8
შშმ ბავშვი	0	0	20

ვაუჩერის თვეში ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება - დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე. 2013 წლის აპრილიდან გაიზარდა დღიური თანხის ოდენობა და ამასთან, საანგარიშო მომსახურების თვეში ფუნქციონირებად მცირე საოჯახო ტიპის სახლში **შეუვსებელი ლიმიტით** განსაზღვრული ადგილები ანაზღაურდება **დღეში 8 ლარით**. აღნიშნულის თანახმად, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციები რეგისტრირებული ადგილების მიხედვით ღებულობენ ანაზღაურებას სახლებში არსებულ თავისუფალ, დაუტვირთავ ადგილებზე.

³¹ საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების შესახებ“.

³² საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის N22 დადგენილებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების შესახებ“.

ქვეპროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

რეგიონული პრინციპით დაჯგუფებული (რამდენიმე სახლის ერთად) მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და იქ არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოვლა პატრონობას, ასევე ამ დაწესებულებების ლიცენზირების პირობებთან მუდმივი შესაბამისობისა და ბენეფიციარისათვის გაწეული სერვისების ადეკვატურობის მაქსიმალურად ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის, სახლების მართვას ახორციელებენ (გადაცაჟ კონკურსის წესით) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირები - არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც (დონორის მიერ შეძენილი) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები) მთავრობის განკარგულებების თანახმად, გადაცემული აქვთ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

შიდა ქართლის რეგიონში (ხაშური, გორი, კასპი) სახლების მართვას ახორციელებდა ა(ა)იპ - საზოგადოება „ბილიკი“. მოცემულ რეგიონში აუდიტებულ პერიოდში სულ ფუნქციონირებდა 6 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, საიდანაც 4 ერთეული მდებარეობდა ქ. ხაშურში, ერთი კასპის რაიონის სოფ. მეტეხში, ხოლო ერთი ერთეული ქ. გორში.

ორგანიზაციის დასახელება	სახლის N	რაიონი	მისამართი	დატვირთვის საშუალო წლიური მაჩვენებელი			საშუალო ჯამური
				2013	2014	2015	
"საზოგადოება ბილიკი"	0144	კასპი	სოფ. მეტეხი	73%	38%		55%
	0143	ხაშური	შოლას ქ. N1	51%	74%	74%	67%
	0148	ხაშური	იმერეთის ქ. N20	85%	65%	56%	69%
	0147	ხაშური	პუშკინის ქ.	83%	63%	71%	72%
	0145	გორი	თავზიშვილის ქ. #20	85%	82%	63%	77%
	0146	ხაშური	სოფ. ხცისი	76%			76%

სააგენტომ განახორციელა ხაშურში იმერეთის ქ. N20, სოფლებში მეტეხსა და ხცისში მდებარე სახლების დახურვა, ბენეფიციარები კი გადანაწილდნენ ორგანიზაციის მართვის ქვეშ მყოფ სხვა სახლებში. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციარების ოპტიმალურად განაწილების პირობებში, აუდიტის პერიოდში შესაძლებელი იყო **54,920 ლარის საბიუჯეტო თანხების დაზოგვა**, რომელსაც სააგენტო საზოგადოებას ურიცხავდა დაუტვირთავი ლიმიტის ფარგლებში.

ორგანიზაციის დასახელება	სახლების მისამართი და N					ჯამი
	ხაშური, პუშკინის ქუჩა, სახლი 0147	ხაშური, შოლას ქ. N1, სახლი 0143	ხაშური, იმერეთის ქ. N20, სახლი 0148	კასპი, სოფ. მეტეხი, სახლი 0144	გორი, თავზიშვილის ქ. N20, სახლი 0145	
საზოგადოება "ბილიკი"	16,824	12,392	18,488	4,800	2,416	54,920

ქვეპროგრამისათვის შესყიდული ორი სახლიდან, რომელთაც ჩაუტარდათ რეაბილიტაცია და აღიჭურვა საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობებით - 1) ჭიათურის რაიონის სოფელ პერევისაში საერთოდ არ ამოქმედებულა, ხოლო 2) გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში ფუნქციონირებდა მხოლოდ 6 თვის განმავლობაში.

ქალაქი	მისამართი	შესყიდვის ღირებულება	რემონტი	აღჭურვა	ჯამი	შენიშვნა
ჭიათურა	პერევისა	50,000	151,452	21,438	222,890	არ ამოქმედებულა
გარდაბანი	სოფ. ახალსოფელი	85,000	180,501	23,390	288,891	ფუნქციონირებდა 6 თვე
	სულ				511,781	

აღნიშნული სახლების მმართველი ორგანიზაციების მოთხოვნით (*ჭიათურაში-ა(ა)იპ „ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, გარდაბანში-ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“*), გაუქმდა უზუფრუქტის ხელშეკრულებები და უძრავი და მოძრავი (*ინვენტარი და საოფისე მოწყობილობა*) ქონება გადმოეცა სააგენტოს.

კონტროლიდან გადახრა

სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულებების თანახმად, ორგანიზაციებს ეკისრებოდათ გარკვეული ვალდებულებების შესრულება (*მიმდინარე რემონტების ჩატარება, სახელმწიფოს სუბსიდირებულ თანხებზე ყოველწლიურად ფულადი სახსების დამატება და სხვ. ვალდებულებები*). „უზუფრუქტუარი“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშგებას ახორციელებდა სამინისტროში.

ხელშეკრულების თანახმად კი სამინისტროს ევალებოდა აღნიშნული ანგარიშგებების საფუძველზე მოემზადებინა წერილობითი დასკვნები და გაეგზავნა „მესაკუთრისათვის“ ხელშეკრულების პირობების შესრულების დადასტურების მიზნით³³.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს შესაბამის სამსახურს არ განუხორციელებია (*ობიექტზე მიღებული განმარტების თანახმად, აღნიშნული საკითხები აღემატებოდა დეპარტამენტის კომპეტენციას და არც ჰყავდათ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები*) ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ანგარიშების შესწავლა და წერილობითი დასკვნების წარდგენა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის (მესაკუთრე).

³³ უზუფრუქტის ხელშეკრულებების 3.1 პუნქტი.

შედეგი: მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციარების ოპტიმალურად განაწილების პირობებში, აუდიტის პერიოდში შესაძლებელი იყო **54,920 ლარის საბიუჯეტო თანხების დაზოგვა.**

დასკვნა: პროგრამის ფარგლებში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ოპტიმიზაციისა და აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის სფეროში არსებულ რესურსთან მიმართ ნაკლებრელევანტურია.

რეკომენდაცია სააგენტოს:

- ✓ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მიზნით, ბენეფიციართა უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი გარემოებების არსებობის პირობებში განხილული იქნას მცირე საოჯახო ტიპის სახლების ოპტიმიზაციის საკითხი.

4. „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა“

ზოგადი ინფორმაცია

ქვეპროგრამის ამოცანა: 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.

სამიზნე ჯგუფი: 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები.

ქვეპროგრამის ინსტიტუციონალიზაციის ისტორია: 2012 წლის 25 ივლისს სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი - „საქართველოში უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დახმარების“ ინიციატივის ფარგლებში. სამინისტროს დაევალა შეექმნა აღნიშნული კატეგორიის ბავშვების ჰარმონიული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მდგრადი, თემზე დაფუძნებული მექანიზმები, ხოლო ფონდი უზრუნველყოფდა პარტნიორების ფინანსურ მხარდაჭერას (უძრავი ქონების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, მომსახურების მიწოდებაში ჩართული პროფესიონალების ტრენინგსა და სხვ, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ ინიციატივის ფარგლებში 750,000 ევროს ოდენობით).

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ (*ინიციატივის ფარგლებში*) ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლებად იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: 1) ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“, 2) ა(ა)იპ „World Vision International - საქართველოს ოფისი“ და 3)

ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“, რომლებმაც შემდგომ (2014-15 წწ) განახორციელეს კიდევ აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისები.

2012 წელს განსახორციელებელი აქტივობები პროგრამაში განსხვავებული ფორმით იყო გაწერილი და მხოლოდ 6 თვე მიმდინარეობდა; 2013 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ასიგნებები არ გახარჯულა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებებით, რომ მიუსაფარ ბავშვთა მომსახურების გასაწევად მომსახურე ორგანიზაციებს არ გააჩნდათ სათანადო პირობები და შესაბამისად, არ ჰქონდათ მიღებული ლიცენზია. 2013 წელს ქვეპროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადაეცათ უსასყიდლო უზუფრუქტით. შემდგომ, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, განხორციელდა პერსონალის შერჩევა-გადამზადება, შეიქმნა მობილური ჯგუფები და მოხდა მათი მომსახურების პილოტირება (გასვლა ველზე, რათა თბილისის მასშტაბით გამოკვეთილიყო ადგილები, სადაც ხდებოდა მიუსაფარ ბავშვთა ძირითადი ნაკადების მოძრაობა). ქვეპროგრამა კი რეალურად ამოქმედდა მხოლოდ 2014 წლის მაისიდან.

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი:

2012 წელი		2013 წელი		2014 წელი		2015 წლის 6 თვე	
ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
46,860	46,860	304,000	0	243,000	243,000	246,600	244,576

დაფინანსების წესი

მობილური ჯგუფის მომსახურებით უზრუნველყოფის გარდა, რომელიც ფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (მიმწოდებელი ორგანიზაციებია: ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“ და ა(ა)იპ „World Vision International - საქართველოს ოფისი“), ქვეპროგრამის დანარჩენი სერვისების შესაბამისი ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი. ვაუჩერზე თვეში ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშებოდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვეში, ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების რაოდენობაზე³⁴;

2014-15 წლებში ქვეპროგრამის სერვისები, მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობები და ანაზღაურების ტარიფები:

³⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილების 1.11 დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

	ლონისძიებების დასახელება	ასანაზღაურებელი თანხა თვეში (გლობალბიუჯეტი-ლარი)	1 ბენეფიციარზე დღიური ხარჯი (ლარი)	ბენეფიციარების რაოდენობა (არაუმეტესი)	შეუვსებელი ლიმიტზე ანაზღაურების ტარიფი (ლარი)
1	მობილური ჯგუფის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,300			
2	დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა		9.00	30	5.00
3	კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურებით უზრუნველყოფა		20.00	10	10.00
4	ტრანზიტული ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა		20.00	20	10.00

ზედმეტად ანაზღაურებული თანხები

4.1. კრიტერიუმი:

- ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები;
- ქვეპროგრამის დაფინანსების წესების თანახმად, ლონისძიებების (სერვისების) მიხედვით ვაუჩერზე თვეში ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვეში ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების რაოდენობაზე; ამასთან, მომსახურების თვეში შეუვსებელი ლიმიტით განსაზღვრული ადგილები ანაზღაურდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება:

- აუდიტით გამოვლინდა, რომ თანხები გადახდილია იმ პირთა მომსახურებისათვის, რომელთა ასაკი აჭარბებს 18 წელს; კრიტერიუმის დარღვევით (4 შემთხვევა), **ზედმეტად გადარიცხული** თანხა შეადგენს სულ - **909 ლარს**.
- აუდიტის პერიოდში, წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების შესაბამისად, 2014-2015 წლებში ა(ა)იპ „World Vision International - საქართველოს ოფისი“ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად **გადაერიცხა 996 ლარით ზედმეტი** თანხა.

შედეგი: ზედმეტად გადახდილმა საბიუჯეტო სახსრებმა შეადგინა **1,905 ლარი**.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გარემოება დადებითი მოვლენაა თანხის მიმღებისათვის, ის არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის დანიშნულებას. ამასთან ეს გარემოება არასამართლიანია პროგრამის სხვა ბენეფიციარებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიმართ.

ქვეპროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრით და ტრანზიტული ცენტრის მომსახურებებით უზრუნველყოფის ღონისძიებები - წარმოადგენენ სადღეღამისო, 24 საათიანი მომსახურების სახეს. ქვეპროგრამის მიხედვით არ არის შესაძლებელი აღნიშნულ ორ მომსახურებას შორის არსებითი განსხვავების იდენტიფიცირება. აუდიტის პერიოდში ხდებოდა ერთიდაიგივე ბენეფიციართა მოძრაობა კრიზისულიდან ტრანზიტულ ცენტრში და პირიქით, რადგან ამასთან, აუდიტის პერიოდში არ იყო განსაზღვრული სერვისებში ბენეფიციართა დაყოვნების ვადები.

ზემოაღნიშნული ორი, სადღეღამისო ტიპის მომსახურების არსებობა კი, დაფინანსების არსებული პრინციპებიდან გამომდინარე, გავლენას ახდენდა და ზრდიდა ბიუჯეტიდან შეუვსებელ ლიმიტზე ანაზღაურებული თანხების მოცულობას.

ტრანზიტული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ - ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასმა“, სააგენტოს აცნობა, რომ მათი, როგორც ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოსაზრებით, ტრანზიტული ცენტრისათვის ადამიანური და ფინანსური რესურსები იხარჯებოდა ფუჭად და სერვისი ვერ ასრულებდა იმ ფუნქციებს, რა მოლოდინებიც იყო კონცეფციაზე მუშაობისას³⁵; შესაბამისად, სააგენტოს სთავაზობდა აღნიშნული მომსახურების სახეცვლილებას. აუდიტის პერიოდში სააგენტოს სადღეღამისო სერვისებში ცვლილებები არ განუხორციელებია³⁶ (არსებული 2 ტიპის სერვისის ოპტიმიზების, ტრანზიტული მომსახურების შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობა და სხვ).

2015 წელს ტრანზიტული ცენტრის მომსახურებისთვის შეიცვალა დაფინანსების მექანიზმი, გაიზარდა და თვეში ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა შემდეგნაირად - ბენეფიციართა **დღიური** დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურებისთვის **კალენდარულ დღეთა** რაოდენობაზე, ანუ ცენტრში ჩარიცხული ბენეფიციარი მივიდოდა და შესაბამისად, მიიღებდა ცენტრში მომსახურებას თუ არა, ორგანიზაცია ამ ბენეფიციარზე მიიღებდა ტარიფით გათვალისწინებული დღიური ოდენობის **სრულ** თანხას. ანაზღაურების მოცემული წესის შემოღებამდე, ტრანზიტული ცენტრების მიხედვით დაუტვირთავი (შეუვსებელი) ლიმიტის ფარგლებში ერთი ადგილი ანაზღაურდებოდა განახევრებული ტარიფით. მომსახურების ანაზღაურების ახალმა წესმა მხოლოდ აუდიტის პერიოდში (2015 წლის 1 ივლისამდე (პთვე)) ხარჯები გაზარდა **6,440 ლარით**.

ინფორმაცია მიმწოდებელი ორგანიზაციების მიხედვით დღის ცენტრის, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარსა და ტრანზიტული ცენტრში შეუვსებელი ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხების შესახებ:

³⁵ ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასის“ მიერ 2015 წლის 26 მარტს სააგენტოსათვის გააგზავნილი ელექტრონული წერილი.

³⁶ მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში მოხდა ორი სადღეღამისო სერვისის გაერთიანება.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია	2014 წელი		2015 წლის 6 თვე		სულ		
	ფაქტობრივი დატვირთვით	შეუვსებელი ლიმიტით	ფაქტობრივი დატვირთვით	შეუვსებელი ლიმიტით	ფაქტობრივი დატვირთვით	შეუვსებელი ლიმიტით	შეუვსებელი ლიმიტით ანაზღაურების %
ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"	40,386	60,740	39,085	52,890	79,471	113,630	59
ა(ა)იპ "world vision international"-ის საქართველოს ფილიალი	41,021	13,385	32,370	19,590	73,391	32,975	31
ა(ა)იპ "ბავშვი და გარემო"	30,140	19,430	20,900	19,680	51,040	39,110	43
ჯამი	111,547	93,555	92,355	92,160	203,902	185,715	48

როგორც ცხრილიდან ჩანს, აუდიტის პერიოდში ანაზღაურებული მოცულობის თითქმის ნახევარი, ფაქტობრივად გაუწეველ მომსახურებაზე მოდის.

მომსახურების ცენტრების დატვირთვის მაჩვენებლები

ტრანზიტული ცენტრისა და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში დატვირთვის მაჩვენებელი ლიმიტით გათვალისწინებულთან (რეგისტრირებულ ადგილებთან) შედარებით დაბალია.

ინფორმაცია დატვირთვის შესახებ ქვეპროგრამის სადღელამისო სერვისების მიხედვით:

კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურებით უზრუნველყოფა	რეგისტრირებული ადგილების რაოდენობა		ჩარიცხული ბენეფიციარების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი		1 დღეში მისული ბენეფიციარების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი		დატვირთვის %	
	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე
ა(ა)იპ "world vision international"-ის საქართველოს ფილიალი	10	10	8	16	6	7	60	70
ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"	8	8	4	10	3	4	38	50

ტრანზიტული ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა	რეგისტრირებული ადგილების რაოდენობა		ჩარიცხული ბენეფიციარების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი		1 დღეში მისული ბენეფიციარების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი		დატვირთვის %	
	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	2014 წელი	2015 წლის 6 თვე
ა(ა)იპ "ბავშვი და გარემო"	15	15	9	9	7	6	47	40
ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"	20	20	9	8	5	3	25	15

წარმოდგენილი დინამიკის მიხედვით, ტრანზიტული ცენტრის მომსახურების შემთხვევაში დატვირთვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და აუდიტის წლების მიხედვით კლებულობს. ამასთან, აღსანიშნავია, სააგენტოსთვის მომსახურების მიწოდებამდეც ცნობილი იყო ორგანიზაციების მიხედვით სერვისის დატვირთვის შესახებ, რადგან თვითონ უზრუნველყოფს ბენეფიციარების შესაბამის სერვისში განთავსებას. არსებითად დაუტვირთავია ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასის“ რუსთავის ტრანზიტული ცენტრი და იქ კლების ტენდენცია მნიშვნელოვანია.

შედეგი: სააგენტო ზემოაღნიშნულ ორ ტრანზიტულ ცენტრში არსებული ადგილების და დატვირთვის გათვალისწინებით, მათი ოპტიმიზაციის შემთხვევაში *(ბენეფიციართა გადაყვანით „საქართველოს კარიტასიდან“ „ბავშვი და გარემო“ ცენტრში)* მხოლოდ აუდიტის პერიოდში, უზრუნველყოფდა შეუვსებელი ლიმიტის ფარგლებში **82,260 ლარის საბიუჯეტო** თანხების **დაზოგვას**.

დასკვნა: პროგრამის ფარგლებში ორი ტრანზიტული ცენტრის მიხედვით მიღებულმა მმართველობითმა გადაწყვეტილებებმა, მათში არსებული ადგილების და დატვირთვის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყო მოცემული ტრანზიტული ცენტრების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

კონტროლის გარემოს სისუსტეები

- აუდიტის ჯგუფს წარედგინა მრავალი დაინტერესებული მხარის *(გაეროს ბავშვთა ფონდი, სამინისტრო, სააგენტო, იუსტიციის სამინისტრო, სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“, ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“, ა(ა)იპ „World Vision International - საქართველოს ოფისი“)* მონაწილეობითა და რეკომენდაციებით ახალი ინიციატივის ფარგლებში შექმნილი „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მომსახურებათა კონცეფცია“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, საჭიროებების შეფასების საფუძველზე განისაზღვრა მიუსაფარ ბავშვთა მომსახურების ტიპები: მობილური ჯგუფი, დღის ცენტრი, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი, ტრანზიტული ცენტრი; ასევე, თითოეულ მომსახურებაში ბენეფიციართა ლიმიტები და ა.შ. წარმოდგენილი კონცეფცია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სერვისების სახეების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები, მათი არსი, მისაღები შედეგი და სხვა, ობიექტზე მიღებული განმარტებით, არ წარმოადგენს საბოლოო ვერსიას *(აუდიტის პერიოდშიც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მისი დამუშავება)*, შესაბამისად, არ იყო დასრულებული კონცეფციაზე მუშაობა და აქედან გამომდინარე - ქვეპროგრამის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები დამტკიცებული ნორმატიული აქტებით *(სერვისების მიხედვით მომსახურებაში ბავშვების მიღება-*

გამოსვლის წესები, ცენტრების სამუშაო დღეები, საათები და შესვლა/გასვლის წესები, განთავსების მაქსიმალური ვადები და სხვ).

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაეროს ბავშვთა ფონდმა მონაცემთა ბაზის შესაქმნელად დაიქირავა ექსპერტი და დაიწერა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის აღწერილობა, ასევე მოიძია პროგრამის განმახორციელებელი, მაგრამ ვინაიდან სამინისტროსა და სააგენტოს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდს ეცნობა, რომ 2015 წელს იგეგმებოდა „სოციალური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის“ (სიმს) განვრცობა და ბავშვთან დაკავშირებული ნაწილის ამუშავება, ფონდმა ადამიანური და ფინანსური რესურსების გაორების თავიდან აცილების მიზნით, შეწყვიტა ზემოაღნიშნული მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესზე მუშაობა. სააგენტოში აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო შექმნილი და შესაბამისად, არ ფუნქციონირებდა მემორამდუმით გათვალისწინებული ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მონაცემთა ინტეგრირებული ბაზა.
- არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სერვისის მიმწოდებელი ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულოდ - ბენეფიციართა ყოველდღიური დასწრების აღრიცხვისათვის (სადღელამისო, 24 საათიანი სერვისის დასადასტურებლად) - ფორმები და წესები, რომელიც ხელმოწერით დადასტურებული იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

რეკომენდაციები სამინისტროს:

- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების და სამიზნე ჯგუფების მიხედვით ანგარიშსწორების სიზუსტეს და სისწორეს.
- ✓ შემუშავდეს „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დახმარების“ კონცეფცია, რომელიც დაარეგულირებს ქვეპროგრამის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს: სერვისების სახეებს, დაყოვნების ვადებსა და ა. შ. ასევე შექმნის პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მანუალურ საფუძველს;
- ✓ დაინერგოს მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც ინტეგრირებული იქნება სააგენტოს სოციალური ინფორმაციების მართვის სისტემასთან. აღნიშნულმა ბაზამ უნდა უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატური გენერირება;
- ✓ ქვეპროგრამის სერვისების რეალურ პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოხდეს ბავშვზე ზრუნვის არსებული სტანდარტების მოთხოვნათა გადასინჯვა.

5. „დღის ცენტრები“

ზოგადი ინფორმაცია

ამოცანა: სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია.

სამიზნე ჯგუფები³⁷:

- 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომელიც არ განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. ამასთანავე, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა, დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენის დღისთვის, არ უნდა აღემატებოდეს 100,000-ს. ამასთანავე, ამავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას.
- 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (იგულისხმება 18+ წლის კატეგორია).
- 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული სხვა გონებრივი ჩამორჩენის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (მათ შორის, ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში). ამასთანავე, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს არ შეუძლიათ, ერთდროულად ისარგებლონ მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფისთვის გათვალისწინებული მომსახურებით.

ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლები არიან სამინისტროში რეგისტრირებული ა(ა)იპ-ები.

დაფინანსების წესი

³⁷ 2015 წლის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის შესაბამისად.

მომსახურება ფინანსდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, რომელიც გაიცემა შესაბამისი ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით³⁸.

სამიზნე ჯგუფების მიხედვით სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხების შესახებ ინფორმაცია (2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით):

დღის ცენტრის ტიპი	თანხა (ლარი)	შენიშვნა
სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი 18 წლის ზემოთ შშმ პირთა დღის ცენტრი	11	თუ პირის ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100,000-ს
	8.25	დანარჩენი შშმ პირები
შშმ ბავშვების დღის ცენტრი	11	-
სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ბავშვთა დღის ცენტრი (გარდა მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა)	6	-

ქვეპროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ გამოცხადებული დასვენების დღეები, რაზედაც წერილობით ეცნობება სააგენტოს.

სააგენტოს მიერ მიმდინარე თვეში დღის ცენტრს გადაერიცხება მიმდინარე თვის (წარდგენილი ტალონის შესაბამისად გაანგარიშებული თანხა) მომსახურების თანხა, რომელიც კორექტირდება ბენეფიციარების მიერ მომსახურების წინა თვეში ფაქტობრივად გაცდენილი დღეებით.

აუდიტის პერიოდში იცვლებოდა კონკრეტულ თვეში ერთი ბენეფიციარის მიხედვით დღის ცენტრისათვის ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშების წესი, რომელიც განისაზღვრებოდა შესაბამისი წლის პროგრამის პირობებით:

პერიოდი	თვეში ასანაზღაურებელი თანხა	შენიშვნა
2012 წლის 1 იანვარი - 21 თებერვალი	ერთი დღის თანხა × თვის სამუშაო დღეების რაოდენობა – ერთი დღის თანხა × გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა	
2012 წლის 21 თებერვალი - 2013 წლის 2 აპრილი	ერთი დღის თანხა × თვის სამუშაო დღეების რაოდენობა – ერთი დღის თანხა × გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა	თუ გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა აღემატება 5-ს
	ერთი დღის თანხა × თვის სამუშაო დღეების რაოდენობა	თუ გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა არ აღემატება 5-ს
2013 წლის 2 აპრილიდან	ერთი დღის თანხა × თვის სამუშაო დღეების რაოდენობა – ერთი დღის თანხა × გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა	თუ გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა აღემატება 5-ს

³⁸ ქვეპროგრამის დაფინანსების წესს განსაზღვრავს ასევე საქართველოს მთავრობის 2010 წლის N22 დადგენილება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

	ერთი დღის თანხა × თვის სამუშაო დღეების რაოდენობა – ერთი დღის თანხა × გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა × 0.5	თუ გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა არ აღემატება 5-ს
--	--	---

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი

საანგარიშო პერიოდი	ბიუჯეტი (ლარი)	საკასო ხარჯი (ლარი)	სხვაობა (ლარი)	მიმწოდებელი ორგანიზაციების რაოდენობა
2012 წელი	2,175,066	2,154,792	20,274	44
2013 წელი	2,838,200	2,502,593	335,607	48
2014 წელი	2,762,400	2,762,400	-	55
2015 წლის 6 თვე	1,550,000	1,550,000	-	52
ჯამი	9,325,666	8,969,785	355,881	-

ზედმეტად ანაზღაურებული თანხები

5.1. კრიტერიუმი: ვაუჩერის ერთ ტალონზე ასანაზღაურებელი თანხა გაანგარიშდება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვის კალენდარული დღეების (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გამოკლებით) რაოდენობაზე.

გამოვლენილი გარემოება: ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის მიმწოდებელ ორგანიზაციებზე გადასარიცხი თანხების სიზუსტისა და სისწორის დადგენის მიზნით, შერჩეულ იქნა აუდიტის წლების მიხედვით ქვეპროგრამის სამი თანხობრივად არსებითი მიმწოდებელი, სულ - ოთხი ორგანიზაცია. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა შერჩეული ორგანიზაციების მიხედვით ბენეფიციართა შესაბამისი ასანაზღაურებელი თანხების გაანგარიშება (რომელიც შეუდარდა სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტისათვის გადასარიცხად წარდგენილ თანხებს).

აუდიტის წლების მიხედვით, სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტისათვის მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილი ჯამური თანხა (1,556,708 ლარი) გაანგარიშებულია არასწორად და აღემატება აუდიტის პროცესში ჯგუფის მიერ დაანგარიშებულ ჯამურ თანხას (1,552,315 ლარი) 4,393 ლარით.

მხოლოდ შერჩეული ორგანიზაციებისათვის აუდიტის პერიოდში (სწორად გაანგარიშებულ თანხებთან მიმართებაში) **ზედმეტად არის გადარიცხული და შესაბამისად ხარჯად აღიარებული 7,499 ლარი.**

ორგანიზაციის დასახელება	აუდიტის პროცესში გაანგარიშებული თანხა	გადასარიცხად გაგზავნილი თანხა	საკასო ხარჯი	ზედმეტად გადარიცხული თანხა (სხვაობა 2-4)
1	2	3	4	5
ა(ა)იპ "ბავშვი და გარემო"	515,088	516,198	517,549	-2,461
ა(ა)იპ "შშობელთა ხიდი"	267,091	267,120	268,050	-959
ა(ა)იპ "პირველი ნაბიჯი საქართველო"	204,819	204,834	204,834	-15
ა(ა)იპ "საქართველოს კარიტასი"	565,317	568,556	569,381	-4,064
ჯამი	1,552,315	1,556,708	1,559,814	-7,499

5.2. კრიტერიუმი: ქვეპროგრამის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომელიც არ განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. ამასთანავე, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა, დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენის დღისთვის, არ უნდა აღემატებოდეს 100,000-ს. ამასთანავე, ამავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას³⁹.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის პროცესში გამოვლინდა, რომ დღის ცენტრების ქვეპროგრამის ფარგლებში თანხა გადარიცხული იყო ისეთი ბენეფიციარების მომსახურებისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ არანათესაურ მინდობით აღზრდაში, მაგრამ არ წარმოადგენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს (10 ბენეფიციარი).

არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი ჯანმრთელი ბავშვი კი აღარ მიეკუთვნება მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კატეგორიას, რადგან ის უკვე აღარ იმყოფება ბიოლოგიურ ოჯახში და განთავსებულია სახელმწიფო ზრუნვის ერთ-ერთ ფორმაში.

არასწორად, კრიტერიუმის დარღვევით, **ზედმეტად გადარიცხულია 378 ლარის საბიუჯეტო სახსრები.**

შედეგი: ქვეპროგრამის ფარგლებში **ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 7,877 ლარი** (მხოლოდ შერჩეული ორგანიზაციების მიხედვით).

³⁹ დღის ცენტრების ქვეპროგრამის მე-3 მუხლის ა) ქვეპუნქტი.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გარემოება დადებითი მოვლენაა თანხის მიმღებისათვის, ის არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის დანიშნულებას. ამასთან ეს გარემოება არასამართლიანია პროგრამის სხვა ბენეფიციარებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიმართ.

კონტროლის გარემოს სისტემები

- ბენეფიციართა დასწრების აღრიცხვა ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“ დღის ცენტრებში არ წარმოებს მინისტრის ბრძანებით⁴⁰ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
- დღის ცენტრებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრი⁴¹ არის დღის ცენტრებში მოთავსების სურვილის მქონე პირთა ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზა. რეესტრის წარმოების პროგრამული უზრუნველყოფისათვის, სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უნდა შეექმნა კომპიუტერული პროგრამა – „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მონაცემთა ინტერაქტიული ბაზა, რომლის მომხმარებლებიც უნდა ყოფილიყვნენ მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველო, სააგენტოს რაიონული და საქალაქო სამსახურები და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოები. მსგავსი კომპიუტერული პროგრამა სააგენტოში დღემდე არ ფუნქციონირებს. მაძიებელთა რეესტრის ადმინისტრირება ხორციელდება არა პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, არამედ MS Excel ფორმატში.
- სააგენტოში არ არსებობს ბენეფიციართა ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი როგორც ბენეფიციართა სტატუსი და კატეგორია, ასევე ქვეპროგრამის სარგებლობისთვის სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი და ფაქტობრივად ანაზღაურებული ყოველთვიური თანხა. CHILD ბაზა, რომელშიდაც წარმოებს ინფორმაციის დამუშავება, არ იძლევა კონკრეტული ბენეფიციარის მიხედვით მომსახურების მიმწოდებლისათვის გადასარიცხი თანხის ოდენობის გაანგარიშების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცედურები სააგენტოში ხორციელდება მანუალურ

⁴⁰ მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დანართი N3.

⁴¹ მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-2 მუხლის მე-16 პუნქტი.

რეჟიმში (MS Excel-ის მეშვეობით). დაფინანსების არსებული მექანიზმის პირობებში, თანხების მანუალურად დაანგარიშება შეცდომის დაშვების მაღალი რისკის შემცველია. ამასთანავე, იმ ფაილების შენახვა, რომლებშიც წარმოებს მიმწოდებლისათვის კონკრეტულ თვეში საანგარიშსწორებო თანხის ოდენობის გაანგარიშება, არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. ეს კი ართულებს ორგანიზაციისათვის მთლიანად გადარიცხული თანხის წარმოდგენას ცალკეული ბენეფიციარების ჭრილში.

რეკომენდაცია სააგენტოს:

- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მიმწოდებელ ორგანიზაციებში ბენეფიციართა დასწრების აღრიცხვას და გაწეული მომსახურების და სამიზნე ჯგუფების მიხედვით ანგარიშსწორების სიზუსტეს და სისწორეს.

6. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“

ზოგადი ინფორმაცია

ამოცანა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

კომპონენტები:

- სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი;
- საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი (ქვეპროგრამას დაემატა 2013 წელს).

ბიუჯეტი და საკასო ხარჯი

2012		2013		2014		2015 წლის 6 თვე	
ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
4,287,742	3,761,556	3,576,700	2,998,049	3,543,870	3,206,504	510,800	509,757

ქვეპროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფა

1. პროგრამის მიხედვით კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის ღონისძიებები მოიცავს რეაბილიტაციას, რომელიც გულისხმობს სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას არანაკლებ 12 თვის განმავლობაში და რომლის შემადგენელი ნაწილებია:

- ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად, კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირება (ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად);
- ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის) მომსახურება.

აუდიტის პერიოდში: 1) კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირება ჩატარდა სულ 124 ბენეფიციარს - ღირებულებით 355,870 ლარი; 2) ლოგოპედის მომსახურება გაეწია სულ 169 ბენეფიციარს, ჯამური ღირებულებით - 291,033 ლარი.

აუდიტის პერიოდში პროგრამით არ იყო გაწერილი თუ რა პერიოდულობით და რაოდენობით (შესაბამისად განფასებული ერთეული რაოდენობის ღირებულებით) უნდა ჩატარდეს იმპლანტის მორგება-რეგულირების მომსახურება; განსაზღვრულია მხოლოდ მომსახურების მაქსიმალური ღირებულება - 3,000 ლარი. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული თანხიდან - 2,000 ლარი სპეციალისტის ხელფასს შეადგენს, 1,000 ლარი კი - არაპირდაპირ ხარჯებს; სპეციალისტი ესწრება ოპერაციას და ახორციელებს ინტრაოპერაციულ ტესტირებას, ოპერაციიდან 21-ე დღეზე ხდება იმპლანტის პირველადი ჩართვა. შემდგომ 2 თვის განმავლობაში, თვეში მინიმუმ 2-ჯერ ხდება ინტენსივობის მომატება. უმეტეს შემთხვევაში ოპერაციიდან სამი თვის შემდეგ, იმპლანტი სრულადაა რეგულირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი 3 თვის განმავლობაში პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად, მისი ექიმთან ვიზიტების რიცხვი შეადგენს მინიმუმ ექვსს, ერთ წლამდე პერიოდში კი საჭიროებისამებრ.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მორგება-რეგულირების მომსახურების ღირებულების დინამიკა წლების მიხედვით. 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების⁴² პირობების თანახმად, 28,250 ლარის ფარგლებში, რაც კოხლეარული იმპლანტის ღირებულებას წარმოადგენდა, მიმწოდებელი ვალდებული იყო საქონლის მიწოდებასთან ერთად ბენეფიციარისთვის უსასყიდლოდ გაეწია თანმდევი მომსახურება; კერძოდ,

ა) პრეოპერაციული მომსახურება ერთჯერადად;

⁴² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N3/3511/70 - 04.10.2011
<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=18113>

ბ) ოპერაციის მიმდინარეობისას იმპლანტის ჩართვა და ტესტირება ერთჯერადად;

გ) პოსტოპერაციული ჩართვა და რეგულირება ერთჯერადად.

2011 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად კი, ზემოაღნიშნული მომსახურება სულ (ოპერაციის მიმდინარეობისას და პოსტოპერაციულად ერთჯერადად იმპლანტის ჩართვა და რეგულირებები) 150 ლარით განისაზღვრა.

ცხრილში წარმოდგენილია კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირების მომსახურების ღირებულება წლების მიხედვით:

პერიოდი	ერთი კოხლერული იმპლანტის ღირებულება	მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება
04/10/2011 ⁴³	28,250 ლარი	პრეოპერაციული მომსახურება ერთჯერადად	უსასყიდლო
		ოპერაციის მიმდინარეობისას იმპლანტის ჩართვა და ტესტირება ერთჯერადად	
		პოსტოპერაციული ჩართვა და რეგულირება ერთჯერადად	
23/12/2011 ⁴⁴	28,100 ლარი	ოპერაციის მიმდინარეობისას იმპლანტის ჩართვა და შემოწმება ერთჯერადად	50 ლარი
		პოსტოპერაციული ჩართვა და რეგულირება ერთჯერადად	100 ლარი
2012 წლიდან 2015 წლის 1 ივლისამდე	28,200 ლარი (საშუალო ღირებულება)	იმპლანტის მორგება-რეგულირება (ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად)	3000 ლარი

აუდიტის პერიოდში მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოს სააგენტოში წარმოდგენა და შესაბამისად სააგენტოს მხრიდან თანხის ანაზღაურება არ ხდება ბენეფიციარებისათვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების რაოდენობების შესაბამისად. მიმწოდებლის მხრიდან პაციენტზე მომსახურების გაწევისათვის ასანაზღაურებლად მოთხოვნილია ლიმიტით დამტკიცებული მაქსიმალური თანხა - 3,000 ლარის ოდენობით (ცალკეულ შემთხვევებში ნაკლები)⁴⁵ დეტალური ჩაშლის გარეშე. შესაბამისად, დაუდგენელია რა რაოდენობის და ა.შ მომსახურება გაეწიათ ბენეფიციარებს. აქედან გამომდინარე, მომსახურების ღირებულება იდენტურია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბენეფიციარი ორგანიზაციას მიმართავს 2-ჯერ და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს ვიზიტები 10-ს ან მეტს აღემატება; ასევე, მორგება-რეგულირების ლიმიტი - 3,000 ლარი მოთხოვნილია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პაციენტმა ოპერაცია ჩაიტარა საზღვარგარეთ და სპეციალისტი არ ესწრებოდა ოპერაციას. მაგალითად, აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ორი ბენეფიციარის მორგება-რეგულირების მომსახურებისათვის, რომლებმაც

⁴³ ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

⁴⁴ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 3/3511/109, 23/12/2011

<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=24429>

⁴⁵ ნაკლები თანხა მოთხოვნილია იმ შემთხვევაში როდესაც სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე (2012 წლამდე) პაციენტთან დაწყებული იყო მორგება-რეგულირების მომსახურება და პაციენტს ანაზღაურებული ჰქონდა მომსახურების ნაწილი.

ოპერაცია ჩაიტარეს საზღვარგარეთ, მოთხოვნილია მორგება-რეგულირების სრული თანხა 3,000 ლარის ოდენობით.

2. სახელმწიფო პროგრამის თანახმად, ლოგოპედია სარეაბილიტაციო კურსის ნაწილს შეადგენს, რაც გულისხმობს ლოგოპედის მომსახურებას ოპერაციის შემდგომ.

აუდიტით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სარეაბილიტაციო კურსი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კოხლეარული იმპლანტის ჩადგმის შემდეგ ბენეფიციარის გამოჯანმრთელებისა და მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, გაწეულია ოპერაციის ჩატარებიდან 2, 3, 4 და 6 წლის შემდეგაც. ესენი ძირითადად არიან ის ბენეფიციარები, ვისაც კოხლეარული იმპლანტაცია ჩაუტარდათ 2012 წლამდე. ბენეფიციარი, რომელსაც ოპერაცია გაუკეთდა 5 წლის ასაკში, ლოგოპედიის კურსის დაწყების მომენტში იყო 12 წლის ასაკის.

აუდიტით გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ოპერაციის შემდეგ საერთოდ არ არის ჩატარებული ლოგოპედის მომსახურება. ასეთი სულ 8 შემთხვევაა.

აუდიტით ასევე გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბენეფიციარებს ოპერაციამდე აქვთ დაწყებული ლოგოპედიის კურსი. მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს თანახმად, ამ ბენეფიციარებმა ოპერაციამდე 3-4 თვით ადრე ჩაიტარეს ლოგოპედია, შემდეგ ოპერაცია და იმავე თვიდან გააგრძელეს ლოგოპედია, როდესაც სხვა უმეტეს შემთხვევებში, ლოგოპედიის კურსი დაწყებულია ოპერაციის ჩატარებიდან საშუალოდ 4 თვის შემდეგ.

წარმოდგენილი ცხრილი ასახავს ზემოაღნიშნულ ბენეფიციარებზე ლოგოპედიისა და ოპერაციის ჩატარებებს შორის პერიოდს:

ბენეფიციარის სახელი და გვარი	პირადი N	საქონლის/მომსახურების მიღების თარიღი		
		იმპლანტის გაცემის თარიღი	იმპლანტაციის ოპერაციის თარიღი	ლოგოპედის მომსახურების დაწყების თარიღები: ოპერაციამდე-ოპერაციის შემდეგ
		9/10/2013	3/3/2014	15-12-13
				28-03-14
		8/10/2013	19/03/14	15-12-13
				28-03-14
		8/10/2013	5/5/2014	15-12-13
				28-05-14
		24/09/13	30/10/13	28-10-13
				27-11-13
		8/10/2013	24/06/14	15-12-13
				28-06-14
		13/11/13	20/03/14	15-12-13
				28-03-14

		10/10/2013	17/02/14	15-12-13
				28-02-14

არაოპტიმალური მარაგები

ქვეპროგრამის ფარგლებში აუდიტის პერიოდში ხდებოდა ყოველწლიურად არსებულ მოთხოვნასთან შეუსაბამო, გაცილებით მეტი რაოდენობის საქონლის შესყიდვა მაშინ, როდესაც ჯერ არ იყო გახარჯული წინა წლებში შესყიდული მარაგები; მაგალითად, 2015 წლის კომისიის სხდომის ოქმებით, ბენეფიციარებზე გაცემულია 2013 წელს შესყიდული ყავარჯნები, ხელჯოხები და სხვ.

სააგენტოს მიერ შესყიდული და გახარჯული - ბენეფიციარებზე გაცემული - დამხმარე საშუალებების დინამიკა წლების მიხედვით:

საქონლის დასახელება	პროგრამით განსაზღვრული შესასყიდი რაოდენობა			შესყიდულია სააგენტოს მიერ			გაცემულია ბენეფიციარებზე			ნაშთი 2015 წლის 1 ივლისი მდგომარეობით
	2013	2014	2015	2013	2014	2015	2013	2014	2015	
უსინათლოთა ხელჯოხები	100	100	100	100	100	-	23	11	11	155
ხელჯოხ-ყავარჯნები	100	100	100	100	100	-	49	61	36	54
ყავარჯნები	100	100	100	100	100	-	52	47	13	88
გადასაადგილებელი ჩარჩოები	100	100	100	100	100	-	18	40	31	111

კონტროლის გარემოს სისუსტე

სააგენტოს არ აქვს შემუშავებული პროცედურები/კონტროლის მექანიზმები - ბენეფიციართა მიერ მიმართვის ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად. პროგრამის განმახორციელებელი მიმწოდებელი ორგანიზაციების უმრავლესობა არ ახდენს ქვეპროგრამით მოსარგებლეთა მიმართვიანობის აღრიცხვას. შესაბამისად სააგენტო, რომელიც ადგენს დამხმარე საშუალების მისაღებ ვადას⁴⁶, არ ახდენს კონტროლს და არ ფლობს ინფორმაციას ბენეფიციარის მიერ ორგანიზაციაში მიმართვის/რეგისტრაციის ვადების დაცვის შესახებ.

დასკვნა

- იმპლანტის მორგება-რეგულირების მომსახურების არსებული დაფინანსების მოდელი ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას;

⁴⁶ შესაბამისი წლის „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის“ - „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მე-3 მუხლი.

- დამხმარე საშუალებების მარაგების მართვის არსებული პოლიტიკა, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით არაეფექტურია და არ იძლევა ოპტიმალური მარაგის ფორმირების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია სამინისტროს:

- ✓ შემუშავებული იქნას დაფინანსების ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით არსებული პრაქტიკის და ფასწარმოქმნის ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრული ფასის ზედა ზღვრის ფარგლებში, იმპლანტის მორგება-რეგულირებისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება *ფაქტობრივად* გაწეული ხარჯის მიხედვით.


რეკომენდაცია სააგენტოს:

- ✓ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც პროგრამის ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს დამხმარე საშუალებების ოპტიმალური მარაგის ფორმირებას და მისი გათვალისწინებით შესასყიდი საქონლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრას.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:

წამყვანი აუდიტორი  ლალი სეხნიაშვილი

წამყვანი აუდიტორი  ელგუჯა ბეროშვილი

აუდიტორი  ნინო ბუხნიკაშვილი

აუდიტორი  მარიამ ჭოლოკავა

აუდიტორ ასისტენტი  დავით მესხი